ელენე შენგელია | ELENE SHENGELIA
ბასა მეტრეველი | BASA METREVELI

ელენე შენგელიამ (1994) დაამთავრა თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტი (2012-2016), თუმცა შემდეგ პროფესია შეიცვალა და აქტიურად დაიწყო ფოტოგრაფიის შესწავლა. იგი ძირითადად დოკუმენტური ფოტოგრაფიით არის დაკავებული და ბევრს მუშაობს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.
ბასა მეტრეველს (1990) აქვს მაგისტრის ხარისხი ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში, ილიას უნივერსიტეტი (2016-2020). იგი მარკეტინგის სფეროში მოღვაწეობს და ერთ-ერთი მოწინავე ორგანიზაციის კრეატიული დირექტორია.
რეზიდენციის ფარგლებში ელენემ და ბასამ გადაწყვიტეს გამოეკვლიათ საქართველოს უახლეს ისტორიაში წარმოებული პოლიტიკა. ისინი კონცენტრირდნენ წინასაარჩევნო კამპანიებზე, ვიზუალურ ენაზე, მოწოდებებსა თუ გავრცელების მეთოდებზე. შემდეგ კი შექმნეს გზამკვლევი „როგორ მოვიგოთ არჩევნები საქართველოში“. იუმორნარევი, გასართობი, მაგრამ ამავდროუალდ საკმაოდ კრიტიკული ნამუშევარი სხვა თვალით გვანახვებს სოციო-პოლიტიკურ რეალობებს, რომელშიც ვცხოვრობთ.

Elene Shengelia (b. 1994, Tbilisi) graduated from the Faculty of Business Administration of the Free University (2012-2016), but then changed profession and began to actively study photography. She is mainly engaged in documentary photography and works a lot in Georgia and abroad.
Basa Metreveli (b. 1990, Tbilisi) holds a master's degree in Philosophical Anthropology, Ilia University (2016-2020). He works in the field of marketing and is the creative director of one of the leading digital creative agencies.
Within the framework of the residence, Elene and Basa decided to explore the politics produced in the recent history of Georgia. They decided to focus on election campaigns, visual language, appeals or dissemination methods. As a result, they created a pocketbook 'How to win elections in Georgia'. Humorous, entertaining, but at the same time quite critical work, presents the socio-political realities we live through in a different light.

ჰეი! ძალიან მოხარული ვარ თქვენთან საუბრით! უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში, თქვენი ნამუშევარი რაღაცნაირად მოულოდნელ რამედ გარდაიქმნა. თავიდან ამბავი პირად/პოლიტიკურ მშობიარობის შემდგომ დეპრესიას ეხებოდა, თუმცა შემდეგ წმინდად პოლიტიკურში გადაიზარდა. როგორ მოხდა ეს?

დაიცა, ტერმინი "პოლიტიკური მშობიარობის შემდგომი დეპრესია" ამ წამს გამოიგონე? რადგან არასდროს გვსმენია, ზუსტად ასახავს ქართულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეალობას მას შემდეგ, რაც გამოვეყავით საბჭოთა კავშირს. და ეს ძალიან სევდიანია. როდესაც პირველად წარვადგინეთ ჩვენი განაცხადი მშობიარობის შემდგომ დეპრესიაზე, ჯერ კიდევ არ ვიცოდით ზუსტად რა გამოვიდოდა. რეზიდენცია დაიწყო და ჩვენს მენტორს შევხვდით, მივედით დასკვნადე, რომ თემის შეცვლა უფრო უკეთესი/მოსახერხებელი იქნებოდა. ელენე, ბოლო წელიწადია ქართული ქუჩების პოლიტიკურ პოსტერებს უღებს. ის ცდილობდა პასუხები ეპოვა კითხვებზე, როგორებიცაა: როგორ ცვლის პოსტერები ქუჩებს, როგორ აბსურდულად გამოიყენებიან და როგორ არის ხალხი წარმოდგენილი ამ პოსტერების წინ. არიან ეს პოსტერები რელევანტური? ელენეს ამ ფოტოების უბრალოდ შეგროვება კიარ უნდოდა, არამედ გამოენახა რაღაც ახალი ფორმა და გზა მათ გადმოსაცემად. ისე მოხდა, რომ ბასას უკვე ქონდა ქართული პოლიტიკური პოსტერების მნიშვნელობების დეკონსტრუქციის გამოცდილება. შესაბამისად, ორივე შევთანხმდით თემაზე და წარვუდგინეთ ჩვენს კურატორებსა და მენტორს.

HEY! SUPER NICE TO CHAT WITH YOU HERE! SOMEHOW, YOUR WORK GREW INTO SOMETHING UNEXPECTED WITHIN THE LAST FEW MONTHS. YOU STARTED OUT WITH THIS PERSONAL/POLITICAL POST-PARTUM DEPRESSION SUBJECT, BUT THEN WENT INTO THE PURELY POLITICAL. HOW DID IT HAPPEN?

A: Did you just coin the term "political post-partum depression"? Because we never heard of it before, it really describes what Georgian social, economical and political affairs have been after Georgia parted with the Soviet Union. And it is a sad thing. When we submitted our application about post-partum, we kind of had no exact idea what will come out of it. When residency started, and we met our mentor, we thought it would have been more convenient to change the subject. In the past years, Elene was taking pictures of political posters in the streets. She was trying to explore questions like how the posters change the streets, how absurdly they look, how people in the streets are represented in front of these posters. Are they even relevant? But she really didn't want to just collect and document these photos, and wanted to find some new form to represent them. It so happened that Basa also had previous experience with deconstructing true meanings behind the Georgian political posters. So we both easily agreed on the subject and suggested it to our curators and mentor.

რატომ აირჩიეთ სატირის ეს ფორმა? ფიქრობთ, რომ გადმოცემის ეს გზა რელევანტურია? ეკუთვნის ეს ქართულ კულტურას? ან სხვანაირად რომ ვიკითხო: არის პოლიტიკური სატირა წარმოდგენილი საქართველოში ამჟამად ან ყოფილა აქამდე?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზოგადი ქართული რეალობა იყო ის, რამაც გადმოცემის ამ ფორმამდე - სატირამდე მიგვიყვანა. პოსტერების განლაგება და ვიზუალი იმდენად იყო აბსურდში ჩაძირული, რომ სატირა თავისთავად გამოვიდა. ჩვენ შეგვეძელო გვეტირა ამაზე, ან გვეცინა. პრინციპში, იგივე შეიძლება ითქვას ქართულ პოლიტიკაზეც. თან, სიცილი იმაზე, რაზეც უნდა გეტირებოდეს ნამდვილად დამახასიათებელია საქართველოსთვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ერთგვარი ქართული კოლექტიური გამკლავების მექანიზმია, წარსულშიც და აწმყოშიც მოვერგოთ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ რეალობებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სატირა რელევანტურია. თანაც სატირა ისეთი ფორმაა, რომელსაც შესაბამისობა ისტორიის არცერთ მონაკვეთში დაუკარგავს,

არამარტო საქართველოში. თან ისიც ვიცით, რომ შეიძლება კლიშე იყოს, რადგან პოლიტიკური სატირა ხშირია ქართულ ტელევიზიაში და ხელოვნებაში, მაგრამ ამ კლიშეებშიცაა რაღაც მნიშვნელოვანი. კლიშე იმიტომაა კლიშე, რომ მასში რაღაც საინტერესოა, რასაც ყოველთვის შეგიძლია დაუბრუნდე. უბრალოდ უნდა შეძლო და დაინახო რაღაც ახალი მასში. ჩვენი პროექტიც ზუსტად ამ ახლის აღმოჩენაზეა.

WHY DID YOU CHOOSE THIS FORM OF SATIRE? DO YOU THINK THIS FORM IS RELEVANT AT THE MOMENT? DOES IT BELONG TO THE GEORGIAN CULTURE? OR MAYBE RATHER: IS POLITICAL SATIRE PRESENT IN GEORGIA AT THE MOMENT AND/OR PREVIOUSLY?

We think it was materials and political affairs in Georgia, which lead us to the form of satire. The look and application of the posters were so immersed in absurdity, that satire came out by itself. We could have cried about it or laughed about it. The same applies to Georgian politics in general as well. And yes, it is a very Georgian way to laugh about things you should be crying about. We think it is kind of a collective coping mechanism to adjust to the political, social, and economic realities the country/nation had to face during its history and is facing now. We think that yes, satire is relevant. Satire is a form that has never really ceased to be relevant from the down of history, not only in Georgia. And, we know that it's cliché and of course, political satire is very usual for Georgian TV shows and even for the art scene, but there is something noteworthy about cliché. A cliché is a cliché because there is something important, something that's always interesting to return. You just have to try to find something new in cliché, try to find new insight into it, and that's what we tried to do with this playbook.

აღნიშნე, რომ პროექტის ქვაკუთხედი ელენეს ფოტოებია, მაგრამ თვალსაჩინოა, რომ ბევრსაც იკვლევდით. სად ეძებდით კვლევის მასალას?

ეს პროექტის ყველაზე რთული ნაწილი იყო. საბედნიეროდ, ბატონ ემზარ ჯგერენაიას ქონდა შეგროვებული 1990-2012 წლების პოლიტიკური პოსტერები, რომლებიც პარლამენტის ბიბლიოთეკაში ინახება. თუმცა 2012 წლის შემდგომ პოსტერებს ვეძებდით ფორუმებზე, სოციალურ მედიაში, კერძო შემგროვებლებთან, ვჭრიდით ფოტოებს დოკუმენტური ფილმიდან თანამედროვე საქართველოს შესახებ და ა.შ ძალიან დიდი დრო დაგვჭირდა, რომ შეგვეგროვებინა და შემდგომში დაგვემუშავებინა მასალა. ძალიან შრომატევადი იყო მათი ანალიზი სხვადასხვა პერსპექტივიდან და მის ერთ ნამუშევრად შეკვრა.

YOU MENTION THAT THE BASE FOR THE PROJECT WAS ELENE'S PHOTOGRAPHS. BUT IT ALSO SEEMS THAT THERE WAS ALSO RESEARCH AS WELL BESIDES THIS. WHERE DID YOU LOOK FOR MATERIAL?

It was the hardest part of the project. Fortunately for us, Mr Emzar Jgerenaia had collected some political posters from 1990 till 2012 and made them part of the Library of National Parliament. But for political posters from 2012 and their real-world applications we had to look for them on forums, social media, private collections, cut the images from the documentary movies about the history of contemporary Georgia etc. It took a lot of time to collect and then process all the material. Analysing them from different kinds of perspectives, and then putting them in one organized form, took an effort.

ამ ვრცელი კვლევის ჩატარების შემდეგ, როგორ დაახასიათებდით 2 სიტყვით ქართული პოლიტიკური პოსტერების ევოლუციას? როგორ ადგილას კიდებდნენ მათ? თქვენ მუშაობთ გასაოცარ და აბსურდულ ვიზუალურ მასალაზე. ეს აბსურდულობა კი საერთოდ არ აკნინებს ნაშრომს.

ქართული პოლიტიკური პოსტერების ანალიზის პროცესში, ნათელი იყო, რომ ქართველი პოლიტიკოსების კომუნიკაციის სტრატეგია წრეზე მოძრაობდა. შეიძლება გარეგანი ფორმები და გამოხატულება შეიცვალა უკეთესი ფოტოებითა და გრაფიკული დიზაინით, თუმცა შინაარსი და მთავარი იდეა იგივე დარჩა. ამიტომ ჩვენი მთავარი მიზანი ზუსტად ამ მანკიერი წრის გამოაშკარავება იყო და თან ისე, რომ ყველასთვის მარტივად აღსაქმელი ყოფილიყო.

WITH THIS EXTENSIVE RESEARCH THAT YOU HAVE DONE, HOW WOULD YOU BRIEFLY CHARACTERIZE THE EVOLUTION OF THE POLITICAL POSTER FROM WHAT YOU HAVE SEEN? OR HOW THEY WERE PLACED? BECAUSE YOU WORK WITH THIS REALLY STRIKING AND REALLY ABSURD VISUAL MATERIAL WITHIN YOUR WORK AND THE ABSURDITY DEFINITELY DOESN'T DIMINISH, IT SEEMS...

While analysing all the Georgian political posters, it was obvious that the communication strategy of Georgian politicians was going on the circles. Maybe some external forms change, and they follow some cultural trends and the quality of the photos and graphic design are gradually becoming better, but the essence of it remains all the same. So, our main goal became to expose this vicious circle and somehow make it fun for everyone to digest.

ვფიქრობ, ეგ საკმაოდ წარმატებული იყო, რადგან შთაბეჭდილება, რომელიც ამ ნამუშევრიდან დამრჩა არის სრული უპასუხისმგებლობა ქართული პოლიტიკის კეთების პროცესში. ამასთან, იმასაც ვფიქრობ, რომ ეს გლობალური პრობლემაა. და ის "ქათამი" რას ემსახურება? ცოტა ვერ გავიგე... ალბათ იმიტომ, რომ არ ვარ ადგილობრივი?

პირველ რიგში, დიდი მადლობა ასეთი შეფასებისთვის. ეს ერთგვარი ჰომოფობიური ნარატივია ქართულ პოლიტიკურ საუბრებში. ზოგი ქართული პოლიტიკური პარტია სატელიტურ ორგანიზაციებს აარსებს, რომლების მეშვეობითაც ისინი ამბობენ და აკეთებენ ისეთ რამეებს, რაც სხვა შემთხვევაში პოლიტიკურად არაკორექტული იქნებოდა. მსგავსი ორგანიზაციებით, მათ შეუძლიათ ძალადობის შემცველი ენით ისაუბრონ მათი ოპონენტების წინააღმდეგ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უბრალოდ სიტყვებით ითამაშეს ქართული საზოგადოების ჰომოფობიურ სენტიმენტებზე. "ქათამი" ჰომოსექსუალის აღმნიშვნელი ციხის სლენგია. შესაბამისად, იმ პოსტერის შემქმნელებმა გაპუტული ქათამი გააერთიანეს ეროვნულ მოძრაობასთან და დაარქვეს "ქათმიონალური მოძრაობა". იდეა მარტივია, ისინი ჰომოსექსუალები არიან და მათ ხმა არ მისცეთ. სხვა ბევრი მსგავსი შემთხვევა არსებობს, როცა ჰომოფობიურ სიმბოლოებს იყენებენ ხალხთან კომუნიკაციის პროცესში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ძალიან ბევრს ამბობს არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებზე, არამედ ხალხზეც. როგორც ჯაბა იტყოდა "პარლამენტარი ხალხის სახეა".

I GUESS THAT WAS VERY SUCCESSFUL BECAUSE THE IMPRESSION THAT I GET OUT OF THE WORK IS THE UTTER IRRESPONSIBILITY OF DOING POLITICS IN GEORGIA. AND I FEEL IT IS SUCH A GLOBAL PROBLEM. BUT CAN YOU ALSO EXPLAIN THAT "CHICKEN" THING? I DIDN'T QUITE GET IT! PERHAPS BECAUSE I AM NOT A LOCAL? :))

Ohh, first, thank you for your appreciation. It is a form of homophobia actually used in Georgian political communication. So, the thing is that some Georgian political parties are creating proxy parties or organizations to do things by their hands that are not otherwise politically correct. With the proxies, they can use hate speech against their opponents. Here they played with the words and on the sentiments of highly homophobic Georgian society. "Chicken" is prison slang for a homosexual. So, the creators of that hateful poster played with the visual of a plucked chicken and with the name of the National Movement. They edited it as a "Chickenonal Movement" (ქათმიონალური მოძრაობა). The idea is simple: they are homosexuals and do not vote for them. There are many other cases using homophobic symbolism in Georgian political communication. We think it says a lot not only about political parties, but also about the people in general. As JABA has it – "the Parliamentarian is the face of the electorate".